საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება

შინაარსი

1. **ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები** 2

2. **ფისკალური ჩარჩო და ფისკალური წესებით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების პროგნოზი** 6

2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება..... 6

2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან..... 13

3. **მთავრობის ვალი** 16

1. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები

წინამდებარე პროგნოზი, მომზადდა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შედგენის მიზნით 2022-2025 წლებისათვის და წარმოადგენს 2020 წლის ბოლოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თავდაპირველ კანონზე თანდართული „2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით“ წარმოდგენილი საშუალოვადიანი ეკონომიკურ და ფისკალურ პარამეტრების პროგნოზებთან შედარებით ანალიზს[1].

2020 წელს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებამ მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში და 2020-2024 წლების პროგნოზები რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოოდ 2020 წელს რეალური ეკონომიკური კლება დაფიქსირდა 6,2%-ის ოდენობით. 2020 წლის ნოემბერში, პროგნოზების განახლებისას განხორციელებული ცვლილებები გამოწვეული იყო ძირითადად 2020 წლის მესამე-მეოთხე კვარტალში განვითარებული პანდემიის მეორე ტალღით, რომელიც თავისი შედეგებით მნიშვნელოვნად ნეგატიური აღმოჩნდა როგორც ჯანდაცვის, ასევე ეკონომიკური მიმართულებით. მეორე ტალღის განვითარებას მოყვა დამატებითი შემზღუდავი ღონისძიებები. გამომდინარე იქიდან, რომ ნოემბრის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ იყო მკაფიო სურათი ვაქცინაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით, ხოლო ვირუსის გავრცელების ტემპები მთელს მსოფლიოში გაცილებით აღემატებოდა პირველი ტალღის ტემპებს, ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივა დაბალი ალბათობით შეფასდა. 2020 წლის ბოლოსთვის არსებული ვითარების გათვალისწინებით, ეკონომიკის მყისიერი აღდგენის მოლოდინები არ არსებობდა და 2021 წლის ბიუჯეტიც დაიგეგმა მეტწილად პანდემიის მართვისა და მისი გავრცელების შესაკავებლად დაწესებული შეზღუდვების ეფექტის ნაწილობრივ გასანეიტრალებლად.

2021 წელი საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტენდენციებით დაიწყო და იანვარში რეალური ეკონომიკის კლებამ 11,5%, ხოლო თებერვალში 5,1% შეადგინა. ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში დადებითი დინამიკა პირველად მარტში დაფიქსირდა, თუმცა ჯამურად, პირველ კვარტალში ეკონომიკური კლების მაჩვენებელმა 4,5% შეადგინა. ეკონომიკური პარამეტრები რადიკალურად შეიცვალა აპრილიდან, რა დროსაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა აპრილში 44,8% შეადგინა. მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები შენარჩუნდა მაისშიც და შედეგად ეკონომიკურმა ზრდამ 25,8% შეადგინა. ჯამში წინასწარი მონაცემებით 5 თვის ეკონომიკური ზრდა 11,5%-ს შეადგენს.

დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტისათვის მაისში

[1] 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს საქართველოს მთავრობას წარედგინა საშუალოვადიანი პროგნოზების შედარების ანალიზი, რომელშიც 2021-2024 წლების პირველადი პროგნოზები შედარებულ იქნა 2020 წლის ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან (https://mof.ge/images/File/2021-biujeti/12-01-2021/11.%20prognozebis%20shedareba.docx) და 2021-2024 წლების პროგნოზების წინა ვერსიებთან.

წარდგენილ 2022-2025 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების წინაწარ პროგნოზებში 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი[2] ერთხელ უკვე განახლდა და 6,5% შეადგინა, თუმცა მაისის და ივნისის მაჩვენებლების გათვალისწინებით, საბაზო სცენარში კიდევ ერთხელ გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებელი და 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტზე თანდართული პროგნოზების საბაზო სცენარში 2021 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 7,7%-ს შეადგენს. ბიუჯეტთან ერთად, ასევე წარმოდგენილია ოპტიმისტური სცენარიც, რომლის რეალიზების ალბათობაც საკმაოდ მაღალია. ოპტიმისტური სცენარის მიხედვით ეკონომიკური ზრდა გადააჭარბებს 10%-ს.

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ თანახმად მიმდინარე წლის 10 ივლისამდე, საქართველოს მთავრობამ უნდა მოიწონოს „2022-2025 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის“ პირველადი ვარიანტი, რომელიც ასევე წინამდებარე მაკროეონომიკურ და ფისკალურ პროგნოზებს დაეფუძნება.

წარმოდგენილ ცხრილებში განახლებული პროგნოზი შედარებულია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან. საპროგნოზო მაჩვენებლებზე ყველაზე დიდი გავლენა იქონია მარტი-აპრილის თვიდან ეკონომიკის სწრაფი ტემპებით აღდგენის პროცესმა. კერძოდ, აპრილის თვეში დაფიქსირებულმა 44.8 პროცენტიანმა ეკონომიკურმა ზრდამ, რომლის შედეგადაც რეალური ეკონომიკის დონემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა არა მხოლოდ პანდემიამდელ დონეს, არამედ იმ ჰიპოთეტურ დონესაც, რაც პანდემიის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა ანალოგიურ დროს. მიუხედავად ამისა, ეკონომიკის ამგვარი აქტივობის სრულად შენარჩუნება მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან მნიშვნელოვანწილად იგი განპირობებული იყო ერთი მხრივ, ეკონომიკის გახსნის ერთჯერადი ეფექტით, ხოლო მეორე მხრივ, გლობალური ვაქცინაციის ტენდენციისა და ეკონომიკის აღდგენის მოლოდინების პოზიტიურად შეცვლის ეფექტით.

ცხრილი №1. ძითითადი ვარაუდები და დაშვებები

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა , %						
წინა პროგნოზი	-5.0%	4.3%	5.8%	5.5%	5.2%	
ახალი პროგნოზი	-6.2%	7.7%	6.3%	6.2%	5.5%	4.9%
სხვაობა	-1.2%	3.4%	0.5%	0.7%	0.3%	
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პროგნოზი	5.5%	3.8%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	6.9%	7.5%	4.5%	3.5%	3.0%	3.0%
სხვაობა	1.4%	3.7%	1.5%	0.5%	0.0%	
საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, %						
წინა პროგნოზი	14.1%	13.1%	12.1%	11.1%	10.1%	
ახალი პროგნოზი	15.7%	14.7%	13.7%	12.7%	11.7%	10.7%
სხვაობა	1.6%	1.6%	1.6%	1.6%	1.6%	
საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პროგნოზი	7.3%	6.8%	6.3%	5.8%	5.3%	

[2] https://mof.ge/5439

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ახალი პროგნოზი	9.2%	8.7%	8.2%	7.7%	7.2%	6.7%
სხვაობა	1.9%	1.9%	1.9%	1.9%	1.9%	

ცხრილი №1 გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილში შეტანილია 2020 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს 2019 წლის ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. 2020 წელს ეკონომიკური ზრდა ნავარაუდევზე 1.2 პროცენტული პუნქტით ნაკლები აღმოჩნდა, რაც გამოწვეულია პანდემიის მეორე ტალღის პიკური პერიოდის მოსალოდნლზე მაღალი უარყოფითი ეკონომიკური შედეგებით. თუმცა, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ შემცირებული ბაზით, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკის აღდგენის სწრაფი ტენდენციით, რაც აპრილსა და მაისში გამოვლინდა. გაზრდილია აგრეთვე საშუალოვადიანი პროგნოზებიც, ვინაიდან, არ მატერიალიზდა ისეთი მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორი, როგორიცაა პოსტპანდემიურ პერიოდში მოხმარების დაბალი მაჩვენებელი, რომლის მატერიალიზაციის გარკვეული ალბათობა გათვალისწინებული იყო როგორც პესიმისტურ, აგრეთვე საბაზო პროგნოზში. აღნიშნული რისკ ფაქტორი კვალავაც რჩება საშუალოვადიანი პერიოდის რისკებში, თუმცა შემცირებულია მაგნიტუდა და მოსალოდნელობის ალბათობა.

გაზრდილია მშპ-ს დეფლატორის როგორც ფაქტობრვი, ასევე საპროგნოზო მაჩვენებლებიც, რაც გლობალური ინფლაციური ტენდენციების შედეგია. აღნიშნული ერთი მხრივ გამოწვეულია ნედლეულზე მომატებული ფასებით, ხოლო მეორე მხრივ მიწოდების ჯაჭვების რღვევის გამო ინფლაციაზე გაცილებით მაღალი გავლენით, ვიდრე ეს საბაზისო სცენარით იყო მოსალოდნელი. მაღალი ინფლაციური მოლოდინები აისახა საპროცენტო განაკვეთებზეც. ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის ცვლილების შედეგად, ბუნებრივია, გადაიხედა ნომინალური მშპ-ს პროგნოზებიც.

ცხრილი №2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება

(მილიონი ლარი)	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ნომინალური მშპ-ის წინა პროგნოზი	49,363.5	53,442.6	58,238.5	63,284.9	68,573.0	
ნომინალური მშპ-ის ახალი პროგნოზი	49,407.3	57,201.4	63,541.3	69,842.7	75,894.6	82,001.8

ცხრილი №3. ნაერთი ბიუჯეტი

(მილიონი ლარი)	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტ.	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
შემოსავლების ძველი პროგნოზი	**12,626.0**	**13,402.0**	**14,969.0**	**16,331.0**	**17,827.0**	
ცვლილებები სულ	**-219.0**	**1,177.0**	**1,521.0**	**1,721.0**	**1,703.0**	
მ.შ. გადასახადები	-85.6	877.0	1,471.0	1,694.0	1,701.0	
შემოსავლების ახალი პროგნოზი	**12,407.0**	**14,579.0**	**16,490.0**	**18,052.0**	**19,530.0**	**21,114.0**
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი	**16,976.0**	**17,643.0**	**17,618.0**	**18,394.0**	**19,723.0**	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი	**17,189.1**	**19,039.0**	**19,401.0**	**20,260.0**	**21,694.0**	**23,278.0**

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია №3 ცხრილში. როგორც ვხედავთ, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები გაზრდილია, რაც ძირითადად გადასახადების ზრდით არის განპირობებული. გადასახადების ზრდა ბუნებრივია უკავშირდება ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის პროგნოზების ზრდის მიმართულებით გადახედვას.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შემოსავლების მიმდინარე პროგნოზში ასახულია აგრეთვე პანდემიურ პერიოდში გაწესებული დროებითი საგადასახადო ღონისძიებების ეფექტიც, რომლებსაც გავლენა ჰქონდა წლის პირველი ნახევრის შემოსავლებზე. ჯამში აღნიშნული შეღავათების ეფექტმა 2021 წელს 270 მლნ ლარი შეადგინა.

გაზრდილია აგრეთვე ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი, რისი მიზეზიც ერთი მხრივ ჯანდაცვის ხარჯები, ხოლო მეორე მხრივ ეკონომიკური აღდგენის ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურული პროექტების, სოფლის მეურნეობის და მწარმოებლური სექტორების დამატებითი დაფინანსებაა.

ცხრილი №4 მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

მიმდინარე ანგარიში	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**
(მლნ აშშ დოლარი)	**ფაქტ.**	**მოსალ**	**პროგნ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**	**პროგნ.**
მიმდინარე ანგარიში - ძველი პროგნოზი	**-1,542.0**	**-1,379.9**	**-1,112.0**	**-1,174.3**	**-1,190.5**	**0.0**
ცვლილებები სულ	**-423.0**	**-450.2**	**-824.9**	**-665.0**	**-508.6**	**-1,324.0**
წმინდა ექსპორტი	-971.5	-1,244.9	-1,683.1	-1,551.5	-1,377.2	-3,365.5
პირველადი შემოსავალი	-27.8	32.5	8.4	-37.9	-114.0	-563.4
მეორადი შემოსავალი (ტრანსფერები)	576.3	762.3	849.8	924.4	982.7	2,604.9
მიმდინარე ანგარიში - ახალი პროგნოზი	**-1,965.0**	**-1,830.1**	**-1,936.9**	**-1,839.4**	**-1,699.1**	**-1,324.0**

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, საპროგნოზო მაჩვენებლები გაუარესებულია, რაც შიდა მოთხოვნის მოსალოდნელზე სწრაფი ტემპით ზრდას უკავშირდება. შიდა მოთხოვნის ზრდა ქმნის მაღალ მოთხოვნას იმპორტულ საქონელზეც. საშუალოვადიან პერიოდში გაზრდილია მეორადი შემოსავლები, რის საფუძველსაც ტრანსფეტრების ბოლოდროინდელი დინამიკა ქმნის.

შემცირებულია ფაქტორული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა ეკონომიკის გაზრდილმა ვალმა, როგორც საოპერაციო, ისე საკურსო ეფექტებით. გაზრდილი ვალი მომდევნო წლებში გამოიწვევს მომსახურების უფრო მაღალ ხარჯებს.

2. ფისკალური ჩარჩო და ფისკალური წესებით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების პროგნოზი

2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება

2020-2023 წლების საშუალოვადიანი პარამეტრები დაიგეგმა 2019 წლის ბოლოსათვის არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე ხარჯების ნაწილში საშუალოვადიან პერიოდში კვლავ გრძელდებოდა ხარჯების კონსოლიდაციის პოლიტიკა და რესურსები მიმართული იყო საინვესტიციო პროექტების, განათლების რეფორმის და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე. არსებული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზები სრულად შეცვალა ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ და მნიშვნელოვანი კორექტირება განიცადა, როგორც 2020 წლის, ისე 2021-2024 წლების ფისკალურმა პროგნოზებმა. 2021-2024 წლების განახლებული პროგნოზები ასახავდა COVID-19-თან დაკავშირებული პოსტ-კრიზისული პერიოდის დაშვებებს და ითვალისწინებდა ფისკალური პოლიტიკის სტაბილიზების ღონისძიებებს, რათა ერთის მხრივ შენარჩუნებულიყო მნიშვნელოვანი რეფორმები და ამავე დროს ფისკალური პარამეტრები დაბრუნებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. 2019 წელს დაფიქსირებული მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის - 5.1%. და ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ისტორიულ დაბალ ნიშნულზე (მშპ-ის 5.1%) დაფიქსირების შემდეგ, 2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე მივიღეთ ეკონომიკურ კლება (მშპ-ის 6.2%)

შესაბამისად ეკონომიკის შემცირება, ასევე პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების საჭიროება პირდაპირ აისახა როგორც ბიუჯეტის შემოსავლების, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავლების, ასევე ხარჯების მოცულობაზე და 2020-2024 წლების საშუალოვადიანი პროგნოზები საფუძვლიანად შეიცვალა.

2020 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანტიკრიზისული გეგმის შემუშავების პროცესში შეთანხმდა მაკრო-ფისკალური ჩარჩო, რომელიც 2020 წლისათვის ეკონომიკური ზრდის შემცირების ფონზე ითვალისწინებდა შემოსავლების დანაკლისს 1,7 მლრდ ლარზე მეტით, არსებულ ბიუჯეტში მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების შემცირებას 600.0 მლნ ლარამდე ოდენობით და საქართველოს მთავრობის ანტრიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსის მოძიებას 3,4 მლრდ ლარამდე, ჯამურად კი 2020-2021 წლებში COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეფექტის პროგნოზი ფისკალურ პარამეტრებზე 7 მლრდ ლარს აჭარბებდა. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, 2020 წლის ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 8.5%-ით განისაზღვრა და მომზადდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილება. 2020 წლის სექტემბრიდან საქართველოს პანდემიის გავრცელების გააქტიურებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ანტიკრიზისული გეგმის დამატებითი პაკეტის შემუშავება და შედეგად 2020 წლის დეფიციტმა შეადგინა 9.3%, ხოლო 2021 წელი დაიგეგმა 7.6% დეფიციტით.

შემცირებული შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის ზრდის საჭიროებიდან გამომდინარე, 2020-2021 წლებში მობილიზებული იქნა დამატებითი დონორული დაფინანსება, როგორც საშინაო ისე საგარეო წყაროებიდან:

- საშინაო ვალის ზრდამ 2020 წელს 2 026,0 მლნ ლარს მიაღწია, მათ შორის 600,0 მლნ ლარამდე გრძელვადიანი ლარის ლიკვიდურობის მიზნით იქნა გამოშვებული და განთავსდა კომერციული ბანკების სადეპოზიტო სერთიფიკატებში;
- 2020 წელს საგარეო ვალის ზრდამ მიაღწია 5 264,3 მლნ ლარს (საერთაშორისო პარტნიორებიდან დამატებით მოზიდული თანხების ჩათვლით);
- 2021 წელს გრძელდება 2020 წელს მოზიდული დონორების დაფინანსების ათვისება, ამასთან, 2021 წელს განხორციელდა 2011 წელს გამოშვებული ევრობონდის გადაფრვა და ახალი 5 წლიანი ევრობონდის განთავსება. შედეგად 2021 წელს საგარეო ვალდებულების წმინდა ზრდა პროგნოზირებულია 2 580 მლნ ლარის ფარგლებში (მათ შორის ვალის აღება 5 274 მლნ ლარი, ხოლო ძირის დაფარვა 2 694 მლნ ლარი. როგორც ვალის აღებაში, ისე დაფარვის ნაწილში ასახულია 1.7 მლრდ ლარი ევრობონდის რეფინანსირებისთვის);
- 2021 წელს საშინაო ვალის წმინდა ზრდა თავდაპირველად დაგეგმილი არ იყო, განახლებული პროგნოზით კი მოხდება საშინაო ვალის შემცირება 150.0 მლნ ლარით. დონორებისგან მოზიდული რესურსების გათვალისწინებით, საშინაო ვალის აღების მოცულობები შემცირებულია, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუშაობს სახელმწიფო ვალის სტრატეგიის განახლებაზე, რომლის მიხედვითაც განხორციელდება მომდევნო წლების დეფიციტის დაფინანსების წყაროების განსაზღვრა.

საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები

2022-2025 წლების წარმოდგენილ მონაცემებში ასახულია 2020 წლის ფაქტიური მაჩვენებლებიდან და მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე გადამუშავებული 2021-2024 წლების მაკროეკონომიკური და ფისკალური ცვლადების საპროგნოზო მაჩვენებლები. აღნიშნული მაჩვენებლების პროგნოზი შემუშავებულია კვლავ მიმდინარე პანდემიის ფონზე.

2021-2024 წლების საშუალოვადიანი პროგნოზების მიმდინარე განახლებაში ასახულია 2020 წელს შემოსავლების ფაქტიური დანაკლისის ეფექტი, 2021 წლის პროგნოზები კი ითვალისწინებს 2021 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირებულ ეკონომიკური ზრდის დადებით ტენდენციებს და 2020 წლის ბოლოს პროგნოზირებულ მაჩვენებლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილ შემოსავლებს. პარალელურად 2021 წლის გადასახდელების ნაწილის ზრდის მიუხედავად, ფისკალური დეფიციტი მცირდება როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-თან მიმართებაში (7.7%-დან 6.9%-მდე).

განახლებული პროგნოზებით ნაერთი ბიუჯეტის არადეფიციტური შემოსავლები როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე მშპ-თან მიმართებაში პრაქტიკულად აღდგა 2021 წლიდან, ხოლო 2022 წლიდან გადააჭარბებს პანდემიამდე არსებულ (2019 წლის დეკემბერის ვერსია) პროგნოზებს.

ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ დაწყებული აქტიური პრივატიზაციის შედეგად, წარმოდგენილ პროგნოზებში გაზრდილია არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობების მაჩვენებლები.

ცხრილი №5 - შემოსულობების პროგნოზები

(მლნ ლარი)

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტი	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
შემოსავლები						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	13 612,0	14 751,0	15 805,0	17 056,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	12 626,0	13 402,0	14 969,0	16 331,0	17 827,0	
ცვლილება	-986,0	-1 349,0	-836,0	-725,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	12 407,0	14 579,0	16 490,0	18 052,0	19 530,0	21 114,0
ცვლილება	-219,0	1 177,0	1 521,0	1 721,0	1 703,0	
არაფინანსური აქტივების კლება						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	230,0	200,0	217,0	235,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	150,0	250,0	250,0	250,0	250,0	
ცვლილება	-80,0	50,0	33,0	15,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	207,9	480,0	250,0	250,0	250,0	250,0
ცვლილება	57,9	230,0	0,0	0,0	0,0	
ფინანსური აქტივების კლება						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	115,0	105,0	90,0	90,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	130,0	150,0	115,0	115,0	115,0	
ცვლილება	15,0	45,0	25,0	25,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	167,4	210,0	115,0	115,0	115,0	115,0
ცვლილება	37,4	60,0	0,0	0,0	0,0	
% მშპ-თან						
შემოსავლები						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	25,6%	25,7%	25,5%	25,3%		

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტი	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	25,6%	25,1%	25,7%	25,8%	26,0%	
ცვლილება	-0,1%	-0,6%	0,2%	0,5%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	25,1%	25,5%	26,0%	25,8%	25,7%	25,7%
ცვლილება	-0,5%	0,4%	0,2%	0,0%	-0,3%	
არაფინანსური აქტივების კლება						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	0,4%	0,4%	0,4%	0,4%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	0,3%	0,5%	0,4%	0,4%	0,4%	
ცვლილება	-0,1%	0,1%	0,1%	0,0%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	0,4%	0,8%	0,4%	0,4%	0,3%	0,3%
ცვლილება	0,1%	0,4%	0,0%	0,0%	0,0%	
ფინანსური აქტივების კლება						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	0,2%	0,2%	0,1%	0,1%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	0,3%	0,3%	0,2%	0,2%	0,2%	
ცვლილება	0,0%	0,1%	0,1%	0,1%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	0,3%	0,4%	0,2%	0,2%	0,2%	0,1%
ცვლილება	0,1%	0,1%	0,0%	0,0%	0,0%	

პანდემიასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯების და ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე შემცირებული შემოსავლების გათვალისწინებით, 2021-2024 წლებში გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტური შემოსულობების წყაროები - როგორც საშინაო, ისე საგარეო ვალის აღების პროგნოზები. 2020-2021 წელს საგარეო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ზრდა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ პანდემიასთან დაკავშირებით საჭირო დამატებით რესურსთან ერთად, 2021 წელს განხორციელდა ევრობონდების გადაფარვის მიზნით ახალი ევრობონდის გამოშვება (1.7 მილიარდი ლარი). 2020 და 2021 წლებში, საგარეო ვალის აღებაში ასახულია პანდემიის გასამკლავებლად მოზიდული სახსრები. ამასთან, ვინაიდან პანდემიით გამოწვეული დამატებითი საჭიროებები სრულად საგარეო წყაროებიდან და დაგროვილი დეპოზიტებიდან ფინანსდება, საშინაო ვალის წმინდა ზრდა განახლებული პროგნოზით შეადგენს (-150) მლნ ლარს. 2022 წლიდან კვლავ იგეგმება საშინაო ვალის აღება, ამასთან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუშაობს სახელმწიფო ვალის სტრატეგიის განახლებული დოკუმენტის მომზადებაზე, რის შედეგადაც დეფიციტის დაფინანსების წყაროების სტრუქტურა შეიძლება კვლავ გადაიხედოს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №6) წარმოდგენილია ვალდებულებების ზრდის პროგნოზები 2020-2025 წლებისთვის:

ცხრილი №6 - ვალდებულებების ზრდის პროგნოზები

(მლნ ლარი)

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ვალდებულებების ზრდა						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	3 067,0	3 835,0	2 941,0	3 135,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	7 175,0	5 279,0	3 145,0	3 675,0	4 140,0	
ცვლილება	4 108,0	1 444,0	204,0	540,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	7 274,4	5 094,0	3 965,0	3 485,0	3 485,0	3 485,0
ცვლილება	99,4	-185,0	820,0	-190,0	-655,0	
მ.შ. საშინაო						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	1 200,0	935,0	935,0	935,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	1 850,0	0,0	1 000,0	1 200,0	1 500,0	
ცვლილება	650,0	-935,0	65,0	265,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	2 010,0	-180,0	1 285,0	1 385,0	1 485,0	1 485,0
ცვლილება	160,0	-180,0	285,0	185,0	-15,0	
მ.შ. საგარეო						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	1 867,0	2 900,0	2 006,0	2 200,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	5 325,0	5 279,0	2 145,0	2 475,0	2 640,0	
ცვლილება	3 458,0	2 379,0	139,0	275,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	5 264,3	5 274,0	2 680,0	2 100,0	2 000,0	2 000,0
ცვლილება	-60,7	-5,0	535,0	-375,0	-640,0	
% მშპ-თან						
ვალდებულებების ზრდა						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	5,8%	6,7%	4,7%	4,6%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	14,5%	9,9%	5,4%	5,8%	6,0%	
ცვლილება	10,2%	2,3%	1,3%	0,8%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	14,7%	8,9%	6,2%	5,0%	4,6%	4,2%
ცვლილება	8,9%	2,2%	1,5%	0,4%		
მ.შ. საშინაო						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	2,3%	1,6%	1,5%	1,4%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	3,7%	0,0%	1,7%	1,9%	2,2%	0,0
ცვლილება	1,4%	1,1%	1,0%	0,9%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	4,1%	-0,3%	2,0%	2,0%	2,0%	1,8%
ცვლილება	1,8%	-1,9%	0,5%	0,6%		

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	მოსალ	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
მ.შ. საგარეო						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	3,5%	5,1%	3,2%	3,3%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	10,8%	9,9%	3,7%	3,9%	3,8%	0,0
ცვლილება	8,8%	1,2%	0,3%	-0,2%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	10,7%	9,2%	4,2%	3,0%	2,6%	2,4%
ცვლილება	7,2%	4,1%	1,0%	-0,3%	2,6%	0,0

2020-2021 წლების და ნაწილობრივ 2022 წლის ხარჯვით ნაწილში პროგნოზები ასახავს საქართველოს მთავრობის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაფინანსებისთვის საჭირო რესურსებს. 2022-2025 წლების საშუალოვადიანი გეგმების ნაწილში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა სამინისტროების კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარე პროგრამებისა და ქვეპროგრამების გაგრძელებისათვის და ასევე ტრადიციული პროგრამების და რეფორმების აღდგენისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2020 წელს ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები მშპ-თან მიმართებაში 26.2 პროცენტამდე გაიზარდა 2020 წლის თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული 21.5 პროცენტის ნაცვლად. ასევე, 2021 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ხარჯები დაიგეგმა 25.1 პროცენტის ოდენობით, თუმცა წარმოდგენილი ვერსიით, COVID-19-თან დაკავშირებული გაზრდილი ჯანმრთელობის დაცვისა და ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებების გათვალისწინებით, 2021 წლის ხარჯები მშპ-თან მიმართებაში 25.2 პროცენტამდე გაიზრდება. განახლებული მშპ-ის ზრდის ფონზე, წინა პროგნოზებთან შედარებით, მიმდინარე ხარჯების წილი მშპ-თან მიმართებაში ჩამოდის 23%-მდე, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის უბრუნდება პანდემიამდე არსებული პროგნოზების ნიშნულს (21%). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მაჩვენებლებში ასახულია პენსიის ინდექსაციის, განათლების რეფორმის და სოციალური მიმართულებით არსებული პროგრამებისათვის საჭირო ხარჯები. თუმცა, ამ მაჩვენებლებში განათლების რეფორმის მშპ-ის 6%-მდე გაზრდა გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქსტატმა 2019 წელს განხორციელებული მეთოდოლოგიური ცვლილებებიდან გამომდინარე, განაახლა მშპ-ის მაჩვენბლები ნომინალურ გამოხატულებაში (ზრდის მიმართულებით).

კაპიტალური ხარჯების მიმართულებით, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის და სხვა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების აქტიურ ფაზაში შესვლიდან გამომდინარე 2020 წელს კაპიტალურმა (არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი) ხარჯებმა 8.6%-ს მიაღწია, ხოლო 2021 წელს კაპიტალური ხარჯები გაზრდილია, როგორც 2019 წლის დეკემბრის, ისე 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ პროგნოზებთან და განსაზღვრულია 8.1%-ის ფარგლებში. თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შენარჩუნება ერთგვარ გამოწვევად რჩება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №7) წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები 2020-2024 წლებისთვის:

ცხრილი №7 - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები

მლნ ლარი

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტი	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
ხარჯები						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	11 410,0	12 394,0	13 430,0	14 622,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	12 921,0	13 407,0	13 518,0	14 434,0	15 243,0	
ცვლილება	1 511,0	1 013,0	88,0	-188,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	12 959,6	14 419,0	14 626,0	15 468,0	16 427,0	17 551,0
ცვლილება	38,6	1 012,0	1 108,0	1 034,0	1 184,0	
კაპიტალური ხარჯები						
არაფინანსური აქტივების ზრდა						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	3 689,0	3 800,0	3 990,0	4 160,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	4 055,0	4 236,0	4 100,0	3 960,0	4 480,0	
ცვლილება	366,0	436,0	110,0	-200,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	4 229,4	4 620,0	4 775,0	4 792,0	5 267,0	5 727,0
ცვლილება	174,4	384,0	675,0	832,0	787,0	
ფინანსური აქტივების ზრდა						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	177,0	360,0	360,0	340,0		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	190,0	241,0	250,0	250,0	250,0	
ცვლილება	13,0	-119,0	-110,0	-90,0		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	204,0	155,0	250,0	250,0	250,0	250,0
ცვლილება	14,0	-86,0	0,0	0,0	0,0	
% მშპ-თან						
ხარჯები						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	21,5%	21,6%	21,6%	21,7%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	26,2%	25,1%	23,2%	22,8%	22,2%	
ცვლილება	4,7%	3,5%	1,6%	1,1%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	26,2%	25,2%	23,0%	22,1%	21,6%	21%
ცვლილება	0,1%	0,1%	-0,2%	-0,7%	-0,6%	
კაპიტალური ხარჯები						
არაფინანსური აქტივების ზრდა						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	6,9%	6,6%	6,4%	6,2%		

	2020	2021	2022	2023	2024	2025
	ფაქტი	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.	პროგნ.
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	8,2%	7,9%	7,0%	6,3%	6,5%	
ცვლილება	1,3%	1,3%	0,6%	0,1%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	8,6%	8,1%	7,5%	6,9%	6,9%	7%
ცვლილება	0,3%	0,2%	0,5%	0,6%	0,4%	
ფინანსური აქტივების ზრდა						
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	0,3%	0,6%	0,6%	0,5%		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი) (პროგნოზი)	0,4%	0,5%	0,4%	0,4%	0,4%	
ცვლილება	0,1%	-0,1%	-0,2%	-0,1%		
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	0,4%	0,3%	0,4%	0,4%	0,3%	0,3%
ცვლილება	0,0%	-0,2%	0,0%	0,0%	0,0%	

2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა.

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელს ეკონომიკის კლება დაფიქსირდა, ხოლო პანდემიაზე რეაგირების ღონისძიებებიდან გამომდინარე გაიზარდა მიმდინარე ხარჯები, 2020 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა მშპ-ის 9%, ხოლო 2021 წელი დაიგეგმა 7.7%-ის ფარგლებში. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე თანდართული პროგნოზები ითვალისწინებდა 2023 წლისათვის „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ნიშნულზე (3%) ჩამოსვლას და განსაზღვრული იყო 2.9%.

2021 წლიდან ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულზე სწრაფი აღდგენიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა დეფიციტის კანონმდებლობით დადგენილ ზღვრებში ჩამოსვლა უფრო თანაბარი ტემპით განხორციელდეს. 2021 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მცირდება 7.7%-დან 6.9%-მდე, ხოლო 2023 წლისათვის ჩამოდის 2.8%-მდე.

ცხრილი №8 - კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების პროგნოზი

	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
არადეფიციტური შემოსულობები (შემოსავლები + არაფინანსური აქტივების კლება)	26,6%	25,5%	26,3%	26,3%	26,2%	26,1%	26,1%
+/- სხვაობა წინა წელთან		-1,1%	0,8%	0,0%	-0,1%	-0,1%	
ხარჯები	21,4%	26,2%	25,2%	23,0%	22,1%	21,6%	21,4%
+/- სხვაობა წინა წელთან		4,9%	-1,0%	-2,2%	-0,9%	-0,5%	
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,0%	8,6%	8,1%	7,5%	6,9%	6,9%	7,0%
+/- სხვაობა წინა წელთან		0,5%	-0,5%	-0,6%	-0,7%	0,1%	
უარყოფითი მთლიანი სალდო	-2,6%	-9,0%	-6,9%	-4,1%	-2,8%	-2,5%	-2,3%
+/- სხვაობა წინა წელთან		-6,4%	2,1%	2,8%	1,3%	0,3%	

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდის აღდგენა 2021 წლიდან დაიწყო და მშპ-ის რეალური ზრდა 2021 წელს განახლებული პროგნოზით 7.7%-ს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში საშუალოდ 5.7%-ს მიაღწევს, პანდემიის საპასუხოდ, 2021 წელს არსებული შეღავათბის გათვალისწინებით, არადეფიციტური შემოსავლები მშპ-თან მიმართებაში მცირედით იზრდება წინა წელთან შედარებით 0.8 პროცენტული პუნქტით და თითქმის უახლოვდება 2019 წლის მაჩვენებელს. 2022 წლიდან ეტაპობრივად აღდგება გადასახადების ბაზა და არადეფიციტური შემოსავლები მშპ-თან მიმართებაში. ეკონომიკური ზრდის აღდგენა გამოიწვევს არადეფიციტური შემოსავლების ზრდას მშპ-თან მიმართებაში. სახელმწიფო პენსიის ინდექსაციის მიუხედავად, 2021 წლიდან ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების მშპ-ის 25.2%-ის ფარგლებში, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში 23%-ის ფარგლებში ჩამოსვლა, ასევე არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალოდ 7.1%-ის ფარგლებში შენარჩუნება, საშუალებას იძლევა 2023 წლისთვის დეფიციტი შემცირდეს 2,8%-მდე და დაუბრუნდეს „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებული დეფიციტის ზღვრულ ნიშნულს. თუმცა დეფიციტის შემცირების პარალელურად, მომდევნო წლებშიც კაპიტალური ხარჯების 8%-ის ფარგლებში შენარჩუნება ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამასთან 23%-ის ფარგლებში მიმდინარე ხარჯები პენსიის ინდექსაციის, განათლების რეფორმის და სხვა მნიშვნელოვანი სტრუქტურული რეფორმების საჭიროების ფონზე, საშუალოვადიან პერიოდში მეტად შემზღუდველ ფისკალურ პოლიტიკას გულისხმობს. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 2022 წლიდან ძალაში შედის განათლების დაფინანსების ვალდებულება მშპ-ის 6%-ის ფარგლებში. აღნიშნული ტიპის ვალდებულებები, პოსტკრიზისული პერიოდის ისედაც შემჭიდროვებული ფისკალური ჩარჩოს ფარგლებში ეფექტური ფისკალური პოლიტიკის გატრებას მეტად ართულებს და შესაძლებელია საჭირო გახდეს ამ ნორმის გადახედვა.

2020-2024 წლებში ნაერთი ბიუჯეტის და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული დეფიციტის პროგნოზი და მათი შედარება წინა პერიოდის პროგნოზებთან მოცემულია ცხრილში №10.

ცხრილი №9 - ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზების შედარება

	ნაერთი ბიუჯეტი						სახელმწიფო ერთიანი ბიუჯეტი					
	2020	2021	2022	2023	2024	2025	2020	2021	2022	2023	2024	2025
მთლიანი სალდო												
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	-1 257,0	-1 243,0	-1 398,0	-1 491,0			-1 333,00	-1 324,00	-1 481,00	-1 577,00		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	-4 200,0	-3 991,0	-2 399,0	-1 813,0	-1 646,0		-4 188,70	-4 131,90	-2 342,60	-1 819,00	-1 649,00	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-4 574,2	-3 980,0	-2 661,0	-1 958,0	-1 914,0	-1 914,0	-4 450,9	-3 971,1	-2 632,0	-1 952,0	-1 863,0	-1 858,0
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)												
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	-1 319,0	-1 498,0	-1 668,0	-1 741,0			-1 396,00	-1 579,00	-1 751,00	-1 827,00		
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	-4 470,0	-4 082,0	-2 534,0	-1 948,0	-1 781,0	-1 781,0	-4 498,90	-4 228,80	-2 487,60	-1 964,00	-1 794,00	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-4 595,9	-3 925,0	-2 796,0	-2 093,0	-2 049,0	-2 049,0	-4 520,3	-3 922,1	-2 792,0	-2 112,0	-2 023,0	-2 018,0
					% მშპ-თან							
მთლიანი სალდო												
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	-2,4%	-2,2%	-2,3%	-2,2%			-2,3%	-2,4%	-2,3%			
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	-8,5%	-7,5%	-4,1%	-2,9%	-2,4%	0,0%	-8,5%	-7,7%	-4,0%	-2,9%	-2,4%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-9,3%	-7,0%	-4,2%	-2,8%	-2,5%	-2,3%	-9,0%	-6,9%	-4,1%	-2,8%	-2,5%	-2,3%
მოდიფიცირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)												
2020-2023 პროგნოზი (2019 წლის დეკემბერი)	-2,5%	-2,6%	-2,7%	-2,6%			-2,8%	-2,8%	-2,7%			
2021-2024 პროგნოზი (2020 წლის დეკემბერი)	-9,1%	-7,6%	-4,4%	-3,1%	-2,6%	-2,6%	-9,1%	-7,9%	-4,3%	-3,1%	-2,6%	
2022-2025 პროგნოზი (2021 წლის ივლისი)	-9,3%	-6,9%	-4,4%	-3,0%	-2,7%	-2,5%	-9,1%	-6,9%	-4,4%	-3,0%	-2,7%	-2,5%

3. მთავრობის ვალი

მთავრობის ვალი (მლნ ლარი)	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
2020-2023 წლები	22,579.0	24,274.0	26,225.0	28,315.0		
%-ად მშპ-თან	42.5%	42.3%	42.2%	42.0%		
2021-2024 წლები	29,569	32,111	34,119	36,608	39,504	
%-ად მშპ-თან	59.9%	60.1%	58.6%	57.8%	57.6%	
2022-2025 წლები	29,654	30,808	33,598	35,818	37,878	39,877
%-ად მშპ-თან	60.02%	53.86%	52.9%	51.3%	49.9%	48.6%

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის საპროგნოზო მაჩვენებლებში ცვლილება გასულ წელს მომზადებულ პროგნოზებთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია 2021 წლის განმავლობაში ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების გამო. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ბოლოს მდგომარეობით ეკონომიკის რეალური ზრდა მოსალოდნელია 7.7%-ის ნიშნულზე. ასევე, მშპ დეფლატორის ცვლილება მოსალოდნელია 7.5%-ის დონეზე. ამასთანავე, 2021 წლის ბოლოსთვის, 2020 წლის დეკემბრის ბოლოსთან შედარებით, მოსალოდნელია ლარის გამყარება ვალის პორტფელში არსებული ვალუტების მიმართ. აღსანიშნავია, რომ მთავრობის საგარეო წმინდა სესხება 2021 წლისთვის დაგეგმილია 2,580 მლნ ლარის ფარგლებში, ლარის კურსის გამყარების გამო საგარეო ვალი აღნიშნულ პერიოდში მცირდება 1,223 მლნ ლარით, რაც ზრდის საგარეო ვალს 1,357 (2,580-1,233=1,357) მლნ ლარით ნაცვლად 2,580 მლნ ლარისა. ყოველივე ზემოხსენებულს აქვს დადებითი გავლენა მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირების მიმართულებით. შედეგად, 2021 წლის ბოლოს ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება მოსალოდნელია 53.86%-მდე. ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება პროგნოზირებულია შემდეგ წლებშიც, 2025 წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოვა 48,6%-მდე.

2020 წლის განმავლობაში, გლობალური პანდემიიდან და ნეგატიური ეკონომიკური სცენარისთვის მზადებიდან გამომდინარე, მოხდა დონორული დაფინანსების მობილიზება 2020-2021 წლების ანტიკრიზისული საჭიროებებისათვის. შედეგად, 2020 წლის ბოლოსთვის ხაზინის ერთიან ანგარიშზე დაგროვდა მნიშვნელოვანი მოცულობის ნაშთი (ფისკალური ბუფერი - 1722 მლნ ლარი). დაგროვილი ნაშთის გამოყენება ხდება 2021 წლის განმავლობაში (1570 მლნ ლარი). აღნიშნულის გამო, დაგეგმილია ადგილობრივ ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა გამოშვება (-150) მლნ ლარის დონეზე, რაც დამატებით ხელს უწყობს მთავრობის ვალის მოცულობის შემცირებას.

მთავრობის ვალის პორტფელის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის მაღალი დონე (2020 წლისთვის - 79%), რის შედეგადაც ვალის მაჩვენებლები მოწყვლადია სავალუტო კურსის ნეგატიური შოკების მიმართ. შესაბამისად, მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკა (განახლებული სახელმწიფო ვალის სტრატეგიის შესაბამისად, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს) საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირებასთან ერთად, ორიენტირებული იქნება მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირებაზე.